განკარგულება:**გ-49. 492302710**
თარიღი:**27/01/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 20

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულას) საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულა) საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2022 წლის 20 დეკემბრის სხდომის ოქმი №9), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულა) საჯარო სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭების შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ვერ აკმაყოფილებს „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ პირობებს (კრიტერიუმებს).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4[1] მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. უარი ეთქვას სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მესხეთის (ბროწეულა) საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, ამავე სკოლისათვის მინაგო გიგოს ძე ინასარიძის სახელის მინიჭების შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი